დამტკიცებულია შპს „თელმიკოს“

გენერალური დირექტორის

2026 წლის 24 მარტის N34 ბრძანებით

დანართი N1

შპს „თელმიკოს“ ცენტრალურ ოფისსა და კლიენტთა მომსახურების ცენტრებში ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

პროცესის მფლობელი	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი
დოკუმენტის მფლობელი	გენერალური დირექტორი

1. ტერმინთა განმარტებებები და შემოკლებები

ტერმინის დასახელება	შემოკლება	განმარტება
შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“	შემდგომში _ საზოგადოება ან „თელმიკო“	ვიდეომონიტორინგის განხორციელების გზით მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი
ვიდეომონიტორინგი		საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა)
მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი		შპს „თელმიკო“, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის საკუთარი სახელით. დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი
დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი		გენერალური დირექტორის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში, უსაფრთხოების ჯგუფის წამყვანი სპეციალისტი ჯგუფის ხელმძღვანელი, უსაფრთხოების ჯგუფის მონაცემთა ანალიზისა და დამუშავების სპეციალისტი
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	ოფიცერი	შპს „თელმიკოს“ მიერ განსაზღვრული/დანიშნული პირი, რომელიც ახორციელებს „პერსონალურ მონაცეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფუნქციებს
მონაცემთა სუბიექტი	სუბიექტი	ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება

2. ინფორმაცია პროცესის თაობაზე

პროცესის მოკლე აღწერა	„ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი“ განსაზღვრავს საზოგადოებაში ვიდეომონიტორინგის განხორციელების წინაპირობებს, მონიტორინგის მიზნებს, მონაცემთა დამუშავების, წვდომის, შენახვისა და წაშლის წესებს, იცავს მონაცემთა სუბიექტის უფლებებსა და ადგენს მათი დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს
კორპორატიული სტანდარტი	არა
დოკუმენტის წვდომის შეზღუდვა	შეზღუდვის გარეშე

3. პასუხისმგებლობა და გამოყენების სფერო

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს შემდეგი განყოფილებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობას:

განყოფილებების დასახელება/თანამდებობა/როლები
საზოგადოების გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში, უსაფრთხოების ჯგუფის წამყვანი სპეციალისტი ჯგუფის ხელმძღვანელი, უსაფრთხოების ჯგუფის მონაცემთა ანალიზისა და დამუშავების სპეციალისტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

4. პროცესის აღწერა

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი (შემდგომში - წესი), „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-4 მუხლით დადგენილი პრინციპების შესაბამისად, განსაზღვრავს შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელ კომპანიაში“ (შემდგომში - საზოგადოება) ვიდეომონიტორინგის მიზნებსა და მოცულობას, ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობას, ვიდეომონიტორინგის განხორციელების შედეგად მიღებული ვიდეოჩანაწერების (შემდგომში - ვიდეოჩანაწერი) შენახვის ვადას, ვიდეოჩანაწერებზე წვდომის, მათი შენახვისა და განადგურების წესსა და პირობებს, ასევე, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმებს.

მუხლი 2. საზოგადოებაში ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზნები

საზოგადოებაში ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზნებია:

ა) საზოგადოებაში დასაქმებულთა და ვიზიტორთა უსაფრთხოების დაცვა;

ბ) საზოგადოების, საზოგადოების დასაქმებულთა და ვიზიტორთა საკუთრების დაცვა;

გ) საზოგადოებაში საიდუმლო ინფორმაციის დაცვა.

მუხლი 3. საზოგადოებაში ვიდეომონიტორინგის მოცულობა

1. ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრული მიზნებისთვის, ვიდეომონიტორინგი ხორციელდება საზოგადოების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობების შესასვლელ/გასასვლელებში, უფრო კონკრეტულად, საზოგადოების ცენტრალურ ოფისში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ოთარ ჩხეიძის ქ. #10-ში განთავსებული „ბიზნეს ცენტრის“ მე-2, მე-3 და მე-5 სართულებზე (ასევე, მე-5 სართულის დერეფანში), ასევე კლიენტთა მომსახურების ცენტრების (გლდანი, საბურთალო, დიდუბე, დიდი დიღომი, ვარკეთილი და ავლაბარი) შესასვლელ/გასასვლელ კარებთან, ასევე, მომსახურების გაწევის სივრცეებში.

2. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით ასევე შეიძლება განხორციელდეს ვიდეომონიტორინგი საზოგადოების ადმინისტრაციულ შენობებში მდებარე იმ სამუშაო ოთახებში/სივრცეებში, რომლებშიც:

ა) ინახება სამსახურის ბალანსზე რიცხული ქონება.

ბ) ინახება ან/და მიმდინარეობს მუშაობა საიდუმლო ინფორმაციაზე;

3. საზოგადოებაში, მონიტორინგის მიზნებისთვის, ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით, აუდიომონირტორინგი (ხმის ჩაწერა) არ ხორციელდება. გამონაკლისს წარმოადგენს საზოგადოების ქოლ-ცენტრი, რომელიც, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის XXVI თავისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის N20 დადგენილებით დამტკიცებული „მომსახურების ხარისიხის წესების“ მოთხოვნათა შესრულების მიზნით ახორციელებს მომხმარებელთათვის გაწეული მომსახურების აუდიომონიტორინგს.

მუხლი 4. საზოგადოებაში ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა, ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა და წაშლის წესი

1. საზოგადოებაში, ამ წესის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ადგილებში, ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით, უწყვეტად მიმდინარეობს სადღეღამისო (24 საათიანი) ვიდეომონიტორინგი.

2. ვიდეომონიტორინგის განხორციელების შედეგად მიღებული ვიდეოჩანაწერები ინახება 30 (ოცდაათი) დღის ვადით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვისთანავე, ვიდეოჩანაწერი იშლება ავტომატურად, აღდგენის შესაძლებლობის გარეშე, თუ არ არსებობს მისი დაარქივების (შემდგომი შენახვის) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზანი და საფუძველი.

მუხლი 5. ვიდეოჩანაწერებზე წვდომის უფლება

ვიდეოჩანაწერებზე წვდომის უფლება, კომპეტენციის ფარგლებში, აქვს:

ა) გენერალურ დირექტორს;

ბ) გენერალური დირექტორის მრჩეველს უსაფრთხოების საკითხებში;

გ) უსაფრთხოების ჯგუფის წამყვან სპეციალისტს ჯგუფის ხელმძღვანელს;

დ) უსაფრთხოების ჯგუფის მონაცემთა ანალიზისა და დამუშავების სპეციალისტს.

სისტემის ტექნიკურ მხარდაჭერას მონაცემთა დამუშავების გარეშე, ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიები სამსახურის კომპიუტერული სისტემებისა და კომუნიკაციების ინჟინერი.

მუხლი 6. საზოგადოებაში ვიდეომონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული

1. საზოგადოებაში ვიდეომონიტორინგს ახორციელებს და ვიდეოთვალთვალის სისტემას მართავს საზოგადოების უსაფრთხოების ჯგუფის წამყვანი სპეციალისტი ჯგუფის ხელმძღვანელი.

2. საზოგადოებაში ვიდეოჩანაწერების შენახვაზე, წაშლაზე, ვიდეომონიტორინგის პროცესში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების აღრიცხვაზე, ვიდეომონიტორინგის პროცესში უსაფრთხოების წესების დაცვაზე და აუცილებლობის შემთხვევაში, ვიდეოჩანაწერების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნითა და საფუძვლით დაარქივებაზე, მათ გაცემაზე, აგრეთვე ვიდეოჩანაწერებზე მესამე პირთა დაშვებაზე, პასუხისმგებელია გენერალური დირექტორის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში;

3. საზოგადოებაში ვიდეოჩანაწერები ინახება სპეციალურად გამოყოფილ, სათანადოდ დაცულ სასერვერო ოთახში განთავსებულ საზოგადოების კუთვნილ სპეციალურ მოწყობილობაზე (NVR).

მუხლი 7. საზოგადოებაში ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

1. საზოგადოებაში ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას, მონაცემთა სუბიექტის (საზოგადოებაში დასაქმებული, საზოგადოების ვიზიტორი ან/და სხვა ფიზიკური პირი) კანონით გათვალისწინებული უფლებები დაცულია.

2. მონაცემთა სუბიექტს, საზოგადოებაში ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას, მისი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, უფლება აქვს შეუზღუდავად გამოიყენოს უფლების დაცვის როგორც საზოგადოებაში არსებული, ამ მუხლით გათვალისწინებული მექანიზმები, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სხვა საშუალება.

3. მონაცემთა სუბიექტს გარანტირებული აქვს საზოგადოების პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა - მას შეუძლია სამუშაო დროს მიმართოს მონაცემთა დაცვის ოფიცერს კონსულტაციისთვის და საზოგადოებაში ვიდეომონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით.

4. მონაცემთა სუბიექტს შეუძლია, მისი უფლებების დასაცავად, დაუბრკოლებლად მიმართოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ან სასამართლოს.

5. ვიდეომონიტორინგის თაობაზე საზოგადოების იმ თანამშრომელთა წერილობითი ფორმით გაფრთხილება, რომელთა სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგიც ხორციელდება სავალდებულოა.

6. საზოგადოებაში დასაქმებული სხვა პირების, საზოგადოების ვიზიტორების და ვიდეომონიტორინგის არეალში მოქცეული სხვა პირების ინფორმირება საზოგადოებაში ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ, ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული გამაფრთხილებელი ნიშნებით ხორციელდება.

მუხლი 8. საზოგადოებაში ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი

1. საზოგადოებაში თითოეული ვიდეოკამერის მიმდებარედ თვალსაჩინოდ განთავსებულია ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი, რომლის წარწერის ზომა, ფერი და განთავსების ადგილი ქმნის მის მარტივად და აშკარად აღქმის შესაძლებლობას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად მიიჩნევა.

3. 2024 წლის 1 მარტიდან განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშანი სავალდებულოა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას/წარწერას:

ა) „მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი 24/7“;

ბ) „ვიდეომონიტორინგს ახორციელებს შპს „თელმიკო“

გ) ტელეფონი: 032 5 000 777; ელ. მისამართი: info@telmico.ge; საქართველო, ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ოთარ ჩხეიძის ქN10

5. დოკუმენტის ვერსიის კონტროლი

ვერსიის ნომერი	ვერსიის შექმნის თარიღი	შნდ-ს შემუშავებაზე პასუხისმგებელი თანამდებობა	პასუხისმგებელი პირი
1	04.03.2026	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	ლ. ქემოკლიძე

6. ნორმატიული ბმულები

№	დოკუმენტის ნომერი და თარიღი	დოკუმენტის დასახელება
1	№ 3144-XIმს-Xმპ 14/06/2023	„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი
2	№ 37 24/03/2026	შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულება